პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ოთხშაბათი 29 ოქტომბერი 1941 წ. № 256 (6261) ფასი 15 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფრონტისათვის დახმარების გაძლიერებით შევეგებოთ ოქტომბრის წლისთავს

გუშინ საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი გაქანებით მიმდინარეობს წინაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. ეს შეჯიბრება გაშლილია პატრიოტული ლოზუნგით:

[...]

არ დავზოგავთ ძალებს იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი".

ახლა დადგა ჟამი, როდესაც მთელი ჩვენი ძალა, მთელი ჩვენი ენერგია, მთელი ჩვენი უნარი და ყურადღება დაუზოგავად უნდა მოვახმაროთ ფრონტს, წითელ არმიასა და წითელ ფლოტს, რათა [...]

ფრონტისპირა გზების რკინიგზელები არტილერიის ცეცხლქვეშ აწვდიან ფრონტს საჭურველსა და სამხარ მასალებს. თუ ზურგში მყოფი ყველა რკინიგზელი ისეთივე თავდადებით იმუშავებს, როგორც ფრონტისპირა რკინიგზელები მუშაობენ, წითელი არმია საჭირო რაოდენობით და საჭირო [...]

[...]

მიდიოდა რა ჩვენგან, დიდმა ლენინმა გვიანდერძა ვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია—ჩვენი თავისუფლების, ჩვენი აწმყოს და მომავლის დამცველი. ყველა ჩვენგანს ახსოვს ლენინის სიკვდილის შემდეგ დიდი სტალინის პირით დადებული ფიცის სიტყვები: „მაშ შევფიცოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ [...]

[...] XXIV წლისთავს, რაც შეიძლება მეტი პროდუქტი მივცეთ ჩვენს ქვეყანას და ამით დავეხმაროთ წითელ არმიას მტრის განადგურებაში.

ფრონტის დახმარებას წარმოადგენს უსწრაფესი მიწოდება ტვირთებისა, რაც საჭიროა წითელი არმიისათვის და ზურგისათვის, რომელიც მომსახურებას უწევს არმიას. ყარაგანდის რკინიგზაზე ქვანახშირის ბევრი მარშრუტი სწრაფი მატარებლის სიჩქარით მიდის.

[...] ლადის, სპილენძისა და ალუმინის წარმოება, გაადიდეთ ნავთის, მადნეულის, ქვანახშირის მოპოვება! გაადიდეთ ჩვენი ქვეყნის სასურსათო რესურსები! გამოსწოვეთ ტექნიკას ყველაფერი, რის მოცემაც შეუძლია, გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება! წითელი არმიისა და მთელი ხალხის საერთო ძალ-ღონით ჩვენ გავაჩერებთ მტერს, გადავუღობავთ გზას და მოვსპობთ ფაშისტ ქვეწარმავალს.

„პრავდის" მოწინავე, 28/X.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 ოქტომბრის დილის ცნობა

27 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ მტერთან ბრძოლებს მოჟაისკის, მალოიაროსლავეცის, ხარკოვისა და ტაგანროგის მიმართულებებით.

* * *

დასავლეთის ფრონტზე მოქმედი ერთი ჩვენი ავიაშენაერთი წარმატებით დაესხა თავს მტრის მოტომექანიზებულ ჯარებს. ბომბების პირდაპირი მოხვედრის შედეგად მოსპობილია მტრის 33 ტანკი და 140-ზე მეტი ავტომანქანა გერმანელთა ქვეითი ჯარითურთ.

* * *

ქალაქ ტ-ს რაიონში ჩვენი თვითმფრინავების ჯგუფმა იერიში მიიტანა მტრის შეჯგუფებულ ჯარზე. [...]

ტყვე ჰანს ბრაიტი ამბობს: „ჯარისკაცებმა ყოველგვარი იმედი დაკარგეს, რომ ომი მალე დამთავრდება. უამრავი ზარალი მოკლულთა და დაჭრილთა სახით საშინლად მოქმედებს ნერვებზე. ჩვენთვის ზარალი შტაბის ცნობების განყენებული ციფრები როდია. რაც დღე გადის, სულ უფრო მეტ ჯარისკაცებს ვასაფლავებთ".

* * *

თავდადებით მუშაობენ ვოლოგდის ოლქის მშრომელები. საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ აითვისა წითელი არმიისათვის საჭირო სპეციალური პროდუქციის გამოშვება. ტრესტმა „ვოლოგდოლესმა" უკვე შეასრულა შპალების გამოშვების [...]

[...]

მყოფობას არა სცნობენ და ბრძოლაში ერეკებიან ისეთ ავადმყოფებს, რომლებიც ფეხზე ვეღარ დგებიან. ოფიცრები გვპირდებიან, მაგრამ, მე მგონია, ისინი ძრწოლით მოელიან იმ დღეს, როდესაც იძულებული იქნებიან გაჩერდნენ. ცეცხლივით აშინებს მათ კითხვა, რომელიც ვერცერთ ჯარისკაცს თავიდან ვერ მოუშორებია: „რაღა იქნება შემდგომ?"

[...] საფეხურისას, მეკავშირეებს, მოფრენებსა და მეტყვიამფრქვევეებს. სანიტარულ რაზმებში სწავლა დაამთავრა 2.000-ზე მეტმა ქალიშვილმა, რომლებიც ფრონტზე წავიდნენ, ჰოსპიტლებში და ადგილობრივ საჰაერო თავდაცვის პუნქტებში მუშაობენ. ოლქის მშრომლები ჩაბმული არიან საყოველთაო სამხედრო სწავლებაში.

28 ოქტომბრის საღამოს ცნობა

28 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან მოჟაისკის, მალოიაროსლავეცის, ვოლოკოლამსკის და ხარკოვის მიმართულებებით. დასავლეთის ფრონტის მთელ რიგ უბნებზე წითელი არმიის ნაწილებმა მოიგერიეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების იერიშები ჩვენს პოზიციებზე და მტერს დიდი ზარალი მიაყენეს.

27 ოქტომბრის განმავლობაში, არასრული ცნობებით, მოსპობილია გერმანიის 31 თვითმფრინავი. ჩვენ 12 თვითმფრინავი დავკარგეთ.

დაზუსტებული ცნობებით, 27 ოქტომბრის განმავლობაში მოსკოვთან ჩამოგდებულია გერმანიის არა 8 თვითმფრინავი, როგორც წინათ იყო გამოქვეყნებული, არამედ 20 თვითმფრინავი.

28 ოქტომბრის განმავლობაში [...]

[...]

შისტური ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჯარისკაცთა თვითეულ ჯგუფს გასაძარცვავად გამოუყვეს სახლების განსაზღვრული რაოდენობა. მთვრალ ფაშისტთა ბანდებმა პირწმინდად გასძარცვეს მცხოვრებთა ბინები, ამასთან ისინი ნახმარი ტანისამოსისა და ფეხსაცმლის წაღებასაც კი არ თაკილობდნენ. ქალაქში განუწყვეტლივ ხვრეტენ მშვიდობიან მცხოვრებთ. განსაკუთრებით მძვინვარებს ლეიტენანტი კლაინკამპფი, რომელსაც მოსახლეობამ „დისნის ჯალათი" უწოდა. ამ დღეებში ამ ჯალათმა დიდ ხანს აწამა ორი მოხუცი და შემდეგ ქუჩაში დახვრიტა ისინი ქალაქის ბევრი მცხოვრების თანადასწრებით. კლაინკამპფი ყოველ დღე უგზავნის თავის ნათესავებს გერმანიაში ნაძარცვ [...]

წითელი არმია გმირულად იგერიებს მტრის გააფთრებულ იერიშებს

მოსკოვი. „კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან

27 ოქტომბერი. „პრავდის" კორესპონდენტები, რომლებიც დასავლეთის ფრონტზე იმყოფებიან, გვიხატავენ ფრონტზე არსებული მდგომარეობის შემდეგ სურათს. 26 ოქტომბერს გერმანელებმა ამხ. როკოსოვსკის ნაწილების წინააღმდეგ გამოიყვანეს ქვეითი ჯარი და 120 ტანკი. მრავალი გერმანელი ჯარისკაცის გაჟლეტისა და რამდენიმე ტანკის მწყობრიდან გამოყვანის შემდეგ ჩვენმა ჯარის ნაწილებმა ერთერთ უბანზე სრული წესრიგით გადაინაცვლეს ადგილი და თავდაცვის ხელსაყრელი ზღუდე დაიკავეს. კვლავ მამაცურად და უნარიანად იბრძვიან ქვეი[...]

ფრონტის სხვა უბნებზე არსებული მდგომარეობის შესახებ „კრასნაია ზვეზდას" კორესპონდენტები იუწყებიან შემდეგს:

კალინინის მიმართულება. წითელი არმიის ნაწილები კალინინთან სერიოზულ ლაშქარს სცემენ გერმანიის ჯარებს. შეტევაზე გადმოსული მტრის ერთერთი ჯგუფი გარშემორტყმული აღმოჩნდა. იგი მოსპობილ იქნა ჩვენი ჯარის ნაწილების ფიცხელი დარტყმით. მთელ რიგ უბნებზე ჩვენი ჯარის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ. ფაშისტები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ, მაგრამ მაინც თანდათანობით უკან იხევენ.

[...]

[...] გააძლიერა შეტევა სამხრეთიდან, ქალაქ ს-ის მიმართულებით. მაგრამ აქაც ვერ მიაღწია წარმატებას. მტერი ცდილობს გაიჭრას ქალაქ ს-ისაკენ, მაგრამ მისი ყველა ცდა ძლიერ წინააღმდეგობას ხვდება.

[...] ზარალი მოუვიდა ჩვენი თავდაცვის ხაზის ფრონტალური დარტყმით გარღვევის ცდის დროს, ამჟამად გაფაციცებით ეძებს ჩვენი ჯარის ნაწილების შესაყარებს და აქეთ-იქით აწყდება.

გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმა მოსკოვზე

28 ოქტომბერს, დღისით და ღამით, გერმანიის თვითმფრინავთა რამდენიმე ჯგუფი თავს დაესხა მოსკოვს. მტრის თვითმფრინავების დიდი ნაწილი საზენიტო ბატარიამ და ავიაგამანადგურებლებმა გაფანტეს და მოსკოვთან არ მოუშვეს. ქალაქის რაიონში შემოჭრილმა მტრის თვითმფრინავებმა უწესრიგოდ ჩამოჰყარეს ფუგასური ბომბები საცხოვრებელ სახლებსა და ქუჩებში. სამხედრო ობიექტები არ დაზარალებულან. არის მსხვერპლი.

ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილის და ვ. ტ. მაჩაიძის დაჯილდოება

მოსკოვი, („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). 23 ოქტომბერს გაზეთები აქვეყნებენ წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი შემადგენლობისა და რიგითი შემადგენლობის იმ პირთა ახალ სიებს, რომელნიც გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

დაჯილდოებულთა შორის არიან უმცროსი სერჟანტი **დავით იოსების-ძე ჩხიკვიშვილი** და კაპიტანი **ვლადიმერ ტიმოთეს-ძე მაჩაიძე**. ამხ. ჩხიკვიშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ხოლო ამხ. მაჩაიძე — წითელი დროშის ორდენით.

გმირობა და მამაცობა

მოსკოვი. „კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან

27 ოქტომბერი. დიდი სამამულო ომის ფრონტებიდან მოსკოვის გაზეთების კორესპონდენტთა მიერ გადმოცემულ უკანასკნელ ცნობებში მოყვანილია მრავალი ეპიზოდი, რომელიც მოწმობს წითელი არმიის მებრძოლებისა და მეთაურების მამაცობასა და გმირობას. მოსკოვის დაცვის შორეულ ზღუდეებზე სწარმოებს [...]

[...] თა ქვეითი ჯარი, რომელიც ტანკებს იერიშზე მოჰყვებოდა. მაშინ ტანკებიც უკან გაბრუნდნენ. როცა მეტყვიამფრქვევეთა გუნდი მწყობრიდან გამოვიდა, ამხ. კაკულია მიუჯდა ტყვიამფრქვევს და ცხრილავდა მტერს. იგი გმირული სიკვდილით დაიღუპა თავის პოსტზე".

„იზვესტიას" კორესპონდენტი [...]

[...] დამცველთა გმირული საქმეების ამბავი გესმის ყველგან—შტაბში, ბანაკებში, სანგრებში, მებრძოლებთან და მეთაურებთან საუბრებში".

„კრასნაია ზვეზდა" იუწყება წითელი არმიის იმ ნაწილების უმაგალითო სიმამაცისა და გმირობის შესახებ, რომლებიც იცავენ ყირიმს, რომლის მისადგომებ[...]

[...]

ჩაის ფოთლის დამზადება

სამამულო ომის დღეებში საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმატებით გრძელდება ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა და ფაბრიკებისათვის ჩაბარება. „საქჩაის" ცნობით, რომელშიაც არ შედის მამათის (ემსახურება მახარაძის და ლანჩხუთის რაიონებს), ნარაზენის (ფოთოლს იღებს ზუგდიდისა და ხობის რაიონებიდან) და დიდი ჭყონის (გეგეჭკორის რაიონი) ჩაის მეორე ფაბრიკაში 20 ოქტომბრის შემდეგ მიღებული ჩაის მწვანე ფოთოლი, 25 ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში მოკრეფილი ფოთლის რაოდენობა აღწევდა გეგმის 96,8 პროცენტს.

ოქტომბრის მარტო მეხუთე ხუთდღიურში მოიკრიფა 236,7 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ბათუმის რაიონში ჩაის ფოთოლი მოკრეფილია გეგმის 99,8 პროცენტი, ქობულეთის რაიონში—103,2 პროცენტი, გალის—95,4, ოჩამჩირის—99,6, სოხუმის—85,3, გუდაუთის—98,9, მახარაძის—99,6, ჩოხატაურის—99,5, ლანჩხუთის — 100,2, სამტრედიის — 98,2, წულუკიძის—84,9, ქუთაისის—95,1, წყალტუბოს — 100,8, ტყიბულის—97, ცხაკაიას — 82,7, გეგეჭკორის—78,2, ზუგდიდის—102,5, წალენჯიხის—104,5, ჩხოროწყუს—80,3 და ხობის რაიონში—85,4 პროცენტი.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა მეურნეობებმა — წლიური გეგმა შეასრულეს 109 პროცენტით. სალიბაურის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ფოთოლი მოიკრიფა გეგმის 113 პროცენტი, გონიოს მეურნეობაში—140, ჩაქვის—114,6, ოჩხამურის—112,7, ნატანების—162, ლაითურის—110,8, ნასაკირალის—112,5, წულუკიძის—107,1, დიდი-ჭყონის — 107,7 ლესიჭინის — 94, ნარაზენის — 107, ინგირის—104, წალენჯიხის—111, აჩიგვარის—100,5, მოქვის 102,2 და აჭარის ასსრ ჩაის ტექნიკუმის მეურნეობაში — 115,8 პროცენტი.

უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი

ქობულეთი („კომუნისტის" სპეც. კორ.). ქობულეთის რაიონში წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 9.284.160 კილოგრამზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. წლიური გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 302 ტონაზე მეტი ჩაი. კრეფის გეგმები გადაჭარბე[...]

მა უკვე დაიწყეს ციტრუსთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა, მასობრივი კრეფა კი ამ დღეებში გაჩაღდება, მაგრამ ხუცუბნის პავილიონის მშენებლობა ჯერაც არ დაუმთავრებიათ, ხოლო ქობულეთის პავილიონს აკლია მუშახელი და ტარამასალა. ციტრუსოვანთა დროულად მი[...]

[...] ჩაის კრეფის ნორმებს ორმაგად ასრულებენ. ასეთები რაიონში ბევრია.

კოლმეურნეობებში გაჩაღებულია სიმინდის მოსავლის აღება. უკანასკნელ ხანებში მოსავლის აღების ტემპები განსაკუთრებით გაიზარდა. სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობისა და სოფ. ხუცუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებმა სიმინდის მოსავალი დროულად და უდანაკარგოდ აიღეს.

რაიონმა წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 150 მილიონი ცალი სტანდარტული ციტრუსოვანი ნაყოფი. მოსავალი საუცხოოა. მუხაესტატეს, ციხისძირის და ჩაქვის საბჭოთა მეურნეობებ[...]

სუსტად მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება. რაიონში თივის კარგი მოსავალია, მაგრამ გათიბული მოსავლის ნაწილი აულებელია, რაც იწვევს დანაკარგებს. დაგვის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებმა უკვე შეაკეთეს პირუტყვის სადგომები, მოიმარაგეს საკვები, მაგრამ იგივე არ ითქმის სოფელ ქაქუთის და სხვა კოლმეურნეობებზე.

ომიანობის დროის პირობები გვიკარნახებს ქალთა შრომის მაქსიმალურად გამოყენებით და სოცშეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლით უდანაკარგოდ ავიღოთ როგორც თივის, ისე სხვა მოსავალი.

მზრალად ხვნის გეგმა შესრულებულია

ასპინძის რაიონმა ვადაზე ადრე მზრალად ხვნის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა—ნაცვლად 4.500 ჰექტარისა მოხნა 4.752 ჰექტარი.

საქ. კ. პ. (ბ) ასპინძის რაიკომის მდივანი **ი. ძებისაშვილი**

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. ლაზარაშვილი**

მოსკოვის გმირული დაცვა

მოსკოვი. „კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან

26 ოქტომბერი. მრისხანე საფრთხემ, რაც საყვარელ ქალაქს თავს დასტრიალებს, მჭიდროდ შეაკავშირა მოსკოველები. არ მოუშვან მტერი წითელ დედაქალაქთან, რადაც უნდა დაუჯდეთ დაიცვან დედაქალაქი, შესაძლებლობა არ მისცენ ფაშისტ მხეცებს წაბილწონ ლამაზი მოსკოვი, გაანადგურონ ჰიტლერელთა ურდოები—ამით ცოცხლობს ახლა ქალაქის ყველა მშრომელი. მოსკოველები ალსდგნენ დედაქალაქის დასაცავად. მოსკოველები მოქმედებენ. მოსკოველები მტერს უმზადებენ სამარეს დედაქალაქის მისადგომებთან. ქალაქის ქუჩებში ავტომობილებით, ქვეითად მიემართება დასავლეთისაკენ, ფრონტის მოწინავე ხაზებისაკენ ახალი შევსება იმ ჯარებისათვის, რომლებიც მტრის შემოტევას აკავებენ. მოძრაობს საბრძოლო ტექნიკა. სიხარულით გაბრწყინებული თვალებით აცილებენ ქალაქის მცხოვრებლები მოსკოვის შორეული მისადგომებისაკენ მიმავალ არტილერიას. მიდიან მუშათა ბატალიონები. ქუჩებში და მოედნებზე მიდიან საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლები — წითელი არმიის რეზერვი. ქალაქში აშენებენ ბარიკადებს, სიმაგრეებს, დაძაბული მუშაობაა ქალაქგარეთ. გარეუბნებში და უფრო შორს ფრონტისაკენ მოსკოველები აგებენ თავდაცვით ზღუდეებს. მინდვრებზე, ბოსტნებში, სადაც ამასმად იღებენ უკანასკნელ კომბოსტოს, სთხრიან უკანასკნელ კარტოფილს, გაჩნდა სანგრები. მათი ხაზები ყოველდღე ფართოვდება. აქ, ამ სანგრებში, ჩასხდებიან ჩვენი მებრძოლები. აქედან გაანადგურებენ ფაშისტ ყაჩაღებს შაშხანებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით. აი გაჭიმულა ტანკსაწინაალმდეგო თხრილები. აქ გადაულობავენ გზას გერმანელთა ტანკებს. ასეთი თხრილები გარშემორტყმული ექნება მთელ ქალაქს. მტერი გაფთრებით მოიწევს მოსკოვისაკენ, ბრძოლაში სულ ახალ-ახალი ძალები გამოჰყავს და ამიტომ უნდა ვიჩქაროთ. სიმაგრეთა მშენებელ ადამიანებს ესმით ეს. მათ ვერ აჩერებს ვერც წვიმა, ვერც შემოდგომის სუსხიანი ქარი. უნდა ვიჩქაროთ.

ერთ-ერთი უბნის უფროსი ამხ. ჩაგუტინი გვიამბობს: „მეშვიდე დღეა, რაც აქ, წითელი დედაქალაქის მისადგომებზე, ვაშენებთ მტკიცე თავდაცვით ზღუდეს. სხვადასხვა პროფესიებისა და სხვადასხვა ასაკის ადამიანები, კაცები და ქალები მოვიდნენ აქ, რათა თავდადებული შრომით ააგონ თავდაცვის ისეთი ხაზი, რომელზეც კბილებს დაიმსხვრევენ ფაშისტი ბარბაროსები. ორი დღის შემდეგ სამხედრო სარდლობას უკვე შეუძლია ჩაიბაროს ჩვენი უბანი. ღრმა ტანკსაწინაალმდეგო თხრილები ფართო ზოლად არის გავლებული და საიდანაც უნდა გამოჩნდნენ მტრები, წითელი არმიის საბრძოლო ქვეგანაყოფები მათ მომაკვდინებელი ცეცხლით შეეგებებიან. ვერც წვიმა, ვერც შემოდგომის სუსხიანი ქარი ვერ შეანელებენ მოსკოველთა ენტუზიაზმს, რომლებიც მრისხანებით ალსავსენი ალსდგნენ მშობლიური ქალაქის დასაცავად. გარიჟრაჟიდან დაბინდებამდე ისინი დაუღალავად შრომობენ და მათი შრომის ნაყოფს სულ უფრო-და უფრო ცხადად ვხედავთ მინდვრებში, ტყეებში, გზების პირებზე. მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, ირგვლივ გზის რკინიგზელებს, ვოიკოვის სახელობის ქარხნის მუშებს, პეტრე ალექსეევის სახელობის ფაბრიკის მქსოველ ქალებს, მხცოვან პროფესორებს და უულვაშო ახალგაზრდებს, დიასახლისებსა და კვალიფიციურ ინჟინრებს — ყველას აერთიანებს ერთი აზრი, ერთი მისწრაფება: მოვუვლი გაბადონ სიმაგრეები, რათა მოიგერიონ მტრის გაფთრებული იერიშები.

ეს იერიშები სულ უფრო-და-უფრო მედგარი ხდება. მოსკოვის შორეულ მისადგომებზე მტერი მთელ ძალღონეს სჭიმავს, რათა სამი მიმართულებით გაიჭრას აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ჩვენი ჯარების სიმტკიცე და სიმამაცე მატულობს. ისინი წინააღმდეგობას უწევენ მტრის ჭარბ ძალებს და წითელი არმიის ნაწილების სიმტკიცე და სიმამაცე მტერს გადამწყვეტ უპირატესობას არ აძლევს. მთელ რიგ დაბებში მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომლებშიც წითელი არმიის ნაწილებს გარდა გმირულად იბრძოდნენ მუშათა რაზმები. მტერი სხმავდა მთელ ძალღონეს. ფრონტის ცენტრალურ უბანზე დაბა დ. რომ აეღო, აქ მან გამოიყვანა ქვეითი ჯარის მნიშვნელოვანი ძალები და ტანკების დიდი რაოდენობა. დაბის გარეუბნებში გაიმართა მედგარი ბრძოლა. მტრის იერიშებს ჩვენი ქვეითი ჯარი ტანკებთან თანამოქმედებით იგერიებდა. ისინი იცავდნენ ყოველ ქუჩას, ყოველ შესახვევს. ჩვენს ტანკისტებს ფიცხელი იერიშები მიჰქონდათ მტრის ქვეითი ჯარის წინააღმდეგ, ჰფანტავდნენ მას, სერიოზულ ზარალს აყენებდნენ. ბრძოლები ქუჩებში უფრო-და-უფრო გაფთრებული ხდებოდა. მტერმა შემოვლითი მანევრი გამოიყენა და გაგზავნა 40 ტანკი, რომ დაბისათვის ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოევლო. ბრძოლა გაფართოვდა, დაბის ყველა განაპირა უბანს მოედო. ქუჩებში გაჩაღებულ ბრძოლებში ჩვენმა ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა მოსპეს გერმანელი ჯარისკაცების დიდი რაოდენობა და მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის დიდძალი მატერიალური ნაწილი. ასეთივე მედგარი იყო ბრძოლები ქალაქ კ-ის რაიონში, რომლის ხელში ჩაგდებასაც მტერი ცდილობდა რადაც უნდა დასჯდომოდა. აქაც ქუჩებში გაიმართა მედგარი ბრძოლები. ჩვენმა ჯარის ნაწილებმა უნარიანად გამოიყენეს ის უპირატესობანი, რასაც ქალაქის პირობები თავდაცვისათვის იძლევა. მეთაურები და მებრძოლები მტკიცედ და მამაცურად იბრძოდნენ. მართალია, პირველად მტერმა შესძლო ქალაქის დასავლეთი ნაწილის ხელში ჩაგდება, მაგრამ თვითეული წინწამოწეული ნაბიჯი მას დიდი ძალღონის დახარჯვად და მძიმე მსხვერპლად უჯდებოდა. მას ყველგან ხვდებოდა ჩვენი მეავტომატეების მარჯვე ცეცხლი, ყუმბარებისა და ნაღმების წვიმა. ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები მტერს შესაძლებლობას არ აძლევდნენ გამაგრებულიყო და მთელი რიგი კონტრიერიშებით იგი ქალაქის დასავლეთი ნაწილიდან განდევნეს. დედაქალაქის დამცველი ჯარის სიმტკიცე უფრო-და-უფრო იზრდება. ყოველი ნაბიჯი ფაშისტებს უდიდეს დანაკლისად უჯდებათ. ამასთან ერთად დღითიდღე იზრდება ჩვენი ძლიერება, ფრონტს მისდის ახალი რეზერვები, ახალი ტექნიკა.

მაგრამ მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. 25 ოქტომბრის განმავლობაში მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე გართულდა. „გერმანელები,—იუწყება „პრავდა", — გაცოფდნენ და, სრულიად არ უწევენ რა ანგარიშს ზარალს, მოძვრებიან და მოძვრებიან ჩვენი თავდაცვის ხაზისაკენ თითქმის მთელ ფრონტზე. დილის პირველ ნახევარში ამხ. როკოსოვსკის მებრძოლებმა გერმანელთა ორი იერიში მოიგერიეს. როკოსოვსკის მებრძოლებმა და არტილერისტებმა, მიუხედავად ამისა, მოსპეს 40-მდე ტანკი და უკუაგდეს მტერი. მაშინ მტერმა გააძლიერა შემოტევა მეორე უბანზე და ჩვენმა ნაწილებმა რამდენადმე უკან დაიწიეს. მტრის შემდგომი წინსვლა შეჩერებულია ჩვენი არტილერიის ცეცხლით. ამხ. გოვოროვის ნაწილები ფრონტის მოჟაისკის უბანზე საერთოდ წარმატებით იგერიებდნენ ფაშისტების გაფთრებულ იერიშებს და აკავებდნენ მტრის წინსვლას. სამხრეთით საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ ლიზიუკოვის ნაწილები განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლას ქალაქ ნ-ის სრული გაწმენდისათვის და მტკიცედ ინარჩუნებდნენ დაკავებულ ზღუდეს, მიუხედავად იმისა, რომ მტრის არტილერიამ არაერთხელ დაუშინა ყუმბარები. ფრონტის განაპირა უბანზეც სწარმოებს ბრძოლები. ჩვენი ნაწილები შეუპოვრად იგერიებენ იერიშებს. მოსკოვის შორეულ ზღუდეებზე წარმოებულ ბრძოლებში გერმანელებს უდიდესი ზარალი მოსდით. მიუხედავად ზარალისა, ფაშისტები გაფთრებით მოიწევენ მოსკოვისაკენ, უკანასკნელ დღეებში გერმანელებმა კიდევ მოიყვანეს ძალები დასავლეთის ფრონტზე და ისინი ბრძოლაში გამოჰყავთ. ეს ზრდის მტრის წინააღმდეგ ბრძოლის სიძნელეებს. მაგრამ ბრძოლის სიძნელეები აწრთობენ ფრონტელებს, ახალ ძალებს მატებენ საბჭოთა პატრიოტებს".

დასავლეთის ფრონტის სამხრეთ უბანზე,—როგორც „პრავდა" იუწყება, — მტერმა მრავალჯერ სცადა წინწაწევა 25 ოქტომბრის განმავლობაში, მაგრამ ამ ცდებს წარმატება არ ჰქონია. მტერი აქეთ-იქით აწყდება ოკის ნაპირების გასწვრივ, ცდილობს იპოვნოს სუსტი ადგილი ჩვენი თავდაცვის წინა ზოლში, რათა ფლანგებიდან შემოგვიაროს. ამ მანევრს მტერი მიმართავს იმ მიზნით, რომ ფართო გზატკეცილზე გავიდეს. მარტო ერთ ადგილას 24 ოქტომბრის საღამოს მტრის ახალმა ძალებმა ერთი დივიზიის შემადგენლობით შესძლეს რამდენადმე შემოჭრილიყვნენ სოლივით ჩვენი თავდაცვის ხაზში და ქალაქ №-ის რაიონში შეავიწროვეს ჩვენი ჯარის ნაწილები. ფაშისტური ნაწილების შემდგომი წინსვლა შეჩერებულია ჩვენი არტილერიის ძლიერი ცეცხლით და ავიაციის მოქმედებით.

ფრონტის ამავე უბნის შესახებ „იზვესტიის" კორესპონდენტი ალ. კუზნეცოვი იუწყება: ფრონტის ცენტრში წარმატებას რომ ვერ მიაღწია, მტერი ცდილობს განავითაროს შემოტევა ქალაქ ს-ის მიმართულებით. ამხ. ზახარკინის ნაწილები მთელი 24 ოქტომბრის განმავლობაში ეწეოდნენ ბრძოლებს და იგერიებდნენ მტრის გაფთრებულ იერიშებს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მტერმა ბრძოლაში გამოიყვანა დამატებითი ძალები და ტექნიკა, მან შესძლო რამდენიმე კილომეტრით წინწაწევა და დაბა ტ-ის დაკავება.

ქალაქ კალინინის რაიონში, — როგორც „პრავდა" იუწყება,—24 ოქტომბერს ქუჩებში გრძელდებოდა ბრძოლები, რომლებსაც მეთაურ ხომენკოს ნაწილები დღისით და ღამით ეწევიან. გორიაჩევის მებრძოლები გაიჭრნენ ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და იქ ქუჩებში იბრძვიან. მტერი მათ მედგარ წინააღმდეგობას უწევს. მეთაურ ხომენკოს ნაწილები მედგარი კონტრიერიშებით აკავებენ მტერს, რომელმაც კალინინის რაიონში თავი მოუყარა მოტორიზებული და ქვეითი ჯარის დიდ ძალებს.

ვ. ყარა-მურზა.

საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის 60-ათასიანი მიტინგი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 27 ოქტომბერი (საკდესი). ნიუ-იორკის მედისონსკვერში ცის ქვეშ შესდგა საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის გრანდიოზული მიტინგი. მიტინგი მოაწყეს ამერიკის შრომის ფედერაციაში შემავალმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესმა, აგრეთვე „ჰიტლერის წინააღმდეგ მებრძოლმა კომიტეტმა". დაესწრო 60 ათასი კაცი. მიტინგის მონაწილენი სოლიდარობას უცხადებდნენ სსრ კავშირსა და ინგლისს, ამასთან მოუწოდებდნენ მასებს დახმარება გაუწიონ მათ ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მიტინგზე წაკითხულ იქნა რკინიგზელთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარის უიტნეის, რესპუბლიკელ სენატორ ბრიჯესის, აგრეთვე ბევრი სხვა ცნობილი პროფესორის, მწერლის, რეჟისორისა და ამერიკის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელთა მისალმებანი.

საბჭოთა კავშირისადმი სოლიდარობა კუბაში

ნიუ-იორკი, 27 ოქტომბერი (საკდესი). ჰავანაში გამომავალი გაზეთი „ნოტისიას დე ოი" იუწყება, რომ ქალაქ ჩინფუეგოსში შესდგა საბჭოთა კავშირთან და ინგლისთან სოლიდარობის დიდი მიტინგი. მიტინგს 10 ათასზე მეტი კაცი ესწრებოდა. მიტინგის მონაწილენი მოუწოდებდნენ სსრ კავშირისათვის, ინგლისისათვის და ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი სხვა ქვეყნებისათვის მაქსიმალური დახმარების გაწევისაკენ.

„საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევის ნაციონალური ასოციაცია" იუწყება, რომ იგი კუბის ყოველი კუთხიდან ღებულობს ურიცხვ საჩუქრებს წითელი არმიის მებრძოლებისა და მეთაურებისათვის. კუბის პრესის ცნობით ბევრ მუშას საბჭოთა კავშირისათვის დახმარების ფონდში შეაქვს თავისი ერთი დღის ხელფასი.

კუბის „გლეხთა ნაციონალურმა ასოციაციამ" მოწოდებით მიმართა თავის წევრებს ერთი დღის ხელფასი შეიტანონ სსრ კავშირისათვის დახმარების ფონდში.

კუბის დეპუტატთა პალატის ყოფილი თავმჯდომარე, ლიბერალთა ლიდერი პიტერსი ამ დღეებში გამოვიდა განცხადებით და აღნიშნა, რომ დემოკრატიის ყველა მეგობარი მთელი ძალღონით უნდა უწყობდეს ხელს წითელი არმიის გამარჯვებას.

დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტთა მუშაკი ქალების მისალმება საბჭოთა ხალხისადმი

აკადემიკოს ლ. ს. შტერნის სახელზე ლონდონიდან მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში მომუშავე ქალები აღტაცებას გამოსთქვამენ და მადლობას სწირავენ თავიანთ მეგობრებს საბჭოთა კავშირში ყოველივე იმისათვის, რასაც ისინი ჩვენი საერთო საქმის წარმატების მისაღწევად აკეთებენ. ჩვენ უდიდეს თანაგრძნობას ვუცხადებთ იმათ, ვინც ამ დიდ ბრძოლაში ოჯახს, მეგობრებს, თავის სახლ-კარს ჰკარგავს.

უკანასკნელ დროს ჩვენს ქვეყანაში მტრის ავიაციის თავდასხმები რამდენადმე შემცირდა. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, და ინგლისის ხალხს ეს ჩინებულად ესმის, რომ გერმანიამ მთელი თავისი ძალების კონცენტრაცია მოახდინა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც მედგარ წინააღმდეგობას უწევს მას.

დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტების მუშაკი ქალები მხარს უჭერენ თავიანთი თანამემამულე მამაკაცების გადაწყვეტილებას—ყველაფერი გააკეთონ, რაც კი შესაძლოა, იმისათვის, რომ ყოველგვარი დახმარება გაუწიონ თავის დიდ მოკავშირეს მის გმირულ ბრძოლაში.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა გერმანიაზე

ლონდონი, 27 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს, რომელშიაც აღნიშნულია, რომ 26 ოქტომბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა დიდძალი ესკადრილია თავს დაესხა ჰამბურგსა და ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიის მთელ რიგ სხვა ქალაქებს. ხილვადობა კარგი იყო და ინგლისის თვითმფრინავებმა ინტენსიურად დაბომბეს დოკები და სხვა სამხედრო ობიექტები. ამავე დროს ინგლისის ავიაციამ დაბომბა შერბურგის დოკები.

ინგლისის საზღვაო ავიაციამ ამავე ღამით დაბომბა დოკები და გემები ეგერსუნდში, სამხრეთ ნორვეგიაში, აგრეთვე ნანტეში, საფრანგეთის დასავლეთ ნაწილში. ეგერსუნდში ინგლისის თვითმფრინავებმა ცეცხლი გაუხსნეს მტრის გემს. ინგლისის ავიაგამანადგურებლები თავს დაესხნენ მტრის აეროდრომებს საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში.

ყველა ამ ოპერაციიდან თავის ბაზებში არ დაბრუნებულა ინგლისის 4 ბომბდამშენი.

ინგლისის ავიაციის მოქმედება ახლო აღმოსავლეთში

ლონდონი, 27 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ავიაციის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ 23 და 24 ოქტომბერს სამხრეთ აფრიკის ავიაციის თვითმფრინავები დიდ აქტივობას იჩენდნენ გონდარის რაიონში (აბისინია), სადაც მათ დაბომბეს მტრის სანგრები და ჩააჩუმეს მტრის მძიმე საზენიტო ქვემეხები. 24 ოქტომბერს სამხრეთ აფრიკის კავშირის სამხედრო საჰაერო ძალთა მფრინავმა ბრძოლაში ჩამოაგდო იტალიის ავიაგამანადგურებელი „ფიატი".

სასურსათო გაჭირვება რუმინეთში

ანკარა, 27 ოქტომბერი (საკდესი). რუმინული გაზეთები „კურენტული" და „უნივერსული" აღიარებენ, რომ ბუქარესტის კვების პროდუქტებით მომარაგება ოქტომბრის დამდეგიდან ბევრი მხრივ მეტად გაუარესდა. ეს იმის შედეგია, რომ სურსათი განუწყვეტლივ გააქვთ გერმანიაში. ბუქარესტის ბაზრებზე სრულიად გაჰქრა ხორცი, კვერცხი და რძის პროდუქტები. არის ისეთი დღეები, როდესაც მთელ ბუქარესტში კარტოფილს ვერ ყიდულობენ.

მთელი რიგი გაზეთები იუწყებიან, რომ პროდუქტების ფასებმა საარაკოდ იმატა. გაზეთები მოითხოვენ მტკიცე ფასების დაწესებას.

5 ოქტომბერს ანტონესკუმ დაათვალიერა ბუქარესტის ზოგიერთი ბაზარი და მაღაზია და ამის შემდეგ გამოაცხადა: მე შევქმენი სპეციალური კომისია, რომელიც საჩქაროდ მომახსენებს ხოლმე მომარაგების ყოველგვარ ნაკლოვანებათა შესახებ.

გაზეთებმა მლიქვნელურად გააზვიადეს ანტონესკუს მიერ სავაჭრო ქსელის დათვალიერება, მაგრამ ამის ერთადერთი შედეგი აღმოჩნდა მთელი რიგი არეულ-დარეული და ერთმანეთის საწინააღმდეგო ბრძანებები, რომლებითაც მოუწოდებენ „ეკონომიისაკენ" და ამავე დროს ემუქრებიან ვაჭრებს, რომლებიც ფასებს ჰბერავენ, და ყველა „უკმაყოფილოთ". როგორც თვითონ რუმინული პრესა აღიარებს, ბუქარესტში და სხვა ქალაქებში სურსათის შეზიდვა კვლავ კლებულობს, ხოლო ფასები განუწყვეტლივ მატულობს.

რუმინეთში ჩაიშუშა სამხედრო სესხი

ჟენევა, 27 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ რუმინეთის მთავრობამ გამოუშვა ახალი სამხედრო სესხი. ამ სესხზე ხელმოწერის სასარგებლოდ დიდი აგიტაცია გასწიეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსახლეობა მას ბოიკოტს უცხადებს. ხელმოწერის თანხა იმდენად მცირეა, რომ ხელისუფლებს მისი გამოქვეყნება ვერ გადაუწყვეტიათ. რამდენადმე მაინც რომ აინაზღაურონ სესხის ჩაფუშვისაგან მიღებული ზარალი, ხელისუფლებმა შეწირულებათა შეგროვება მოაწყეს სხვადასხვა საჭიროებისათვის — დაჭრილთა სასარგებლოდ, მოკლულთა ოჯახებისათვის, ინვალიდებისათვის და სხვ.

გაზეთები მოსახლეობას მოუწოდებენ შეიტანონ შესაწირავი ამ მიზნით და აცხადებენ, რომ ის პირნი, რომლებიც ხელს არ მოაწერენ სამხედრო სესხს ან შესაწირავს არ შეიტანენ მოკლულთა ოჯახებისა და დაჭრილთა სასარგებლოდ, უნდა ჩაითვალონ „მტრის ხელშემწყობად". ყველა ამ მუქარის მიუხედავად, შეწირულებათა შეგროვების კამპანიაც ისევე იფუშება, როგორც სესხზე ხელმოწერა.

ეს ფაქტები საკმაოდ მკაფიოდ ახასიათებენ რუმინელი ხალხის დამოკიდებულებას ანტონესკუს მთავრობისა და ომისადმი, რომელიც მთავრობამ თავს დაატეხა რუმინეთს.

უნგრეთს ზამთარში შიმშილობა მოელის

სტამბოლი, 27 ოქტომბერი (საკდესი). დღითი-დღე სულ უფრო-და-უფრო აშკარა ხდება, რომ ზამთარში უნგრეთს შიმშილობა მოელის. შემოღებულია პირველი საჭიროების საგნების მოხმარების სხვადასხვა შეზღუდვა. უკანასკნელ დღეებში უნგრეთის ხელისუფლებამ გასცა მთელი რიგი ახალი განკარგულებანი, რომლებიც მოწმობენ უნგრეთის ეკონომიკის უაღრეს დაძაბულობას. გაზეთი „პესტერ ლოიდი" აქვეყნებს მთავრობის განკარგულებას, რომლის თანახმად თვითეული სოფლის მეურნე მოვალეა სიმინდის აღების დამთავრებიდან არაუგვიანეს 8 დღისა აცნობოს ხელისუფლებას მოსავლის რაოდენობა, რასაც ხელისუფალნი უწევენ კონტროლს. სიმინდის ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ სპეციალური ნებართვით შეიძლება. ამასთან ის, ვინც 6 ცენტნერ გაწმენდილ სიმინდს იყიდის, მოვალეა სახელმწიფოს ჩააბაროს 150 კილოგრამი წონის ღორი.

იმავე გაზეთში დაბეჭდილია მომარაგების სამინისტროს განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ „უკანასკნელ დროს როგორც დედაქალაქი, ისე პროვინცია საქონლის დიდ ნაკლებობას განიცდის". საქონლის ნაკლებობას სამინისტრო სპეკულაციით ხსნის.

12 ოქტომბერს „პესტერ ლოიდმა" გამოაქვეყნა მომარაგების მინისტრის ბრძანება, რომლის თანახმად სწყდება ბენზინის გაცემა მსუბუქი ავტოტრანსპორტისათვის. სატვირთო მანქანებისა და ტრაქტორებისათვის დაწესებულია ნორმა თვეში 60 ლიტრი.

ბევრი საქონლის მწვავე ნაკლებობის შედეგად სპეკულაციამ საშინელი ხასიათი მიიღო. სპეკულაციის წინააღმდეგ საბრძოლველად უნგრეთის ხელისუფლებამ სპეციალურ მაძებართა ინსტიტუტი შემოიღო. მთელს უნგრეთში შექმნილია განსაკუთრებული სასამართლოები სპეკულაციის შესახებ აღძრული საქმეების განსახილველად. ამ სასამართლოების გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეიძლება. ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით, მუშა-ხელის ნაკლებობის მიუხედავად, უნგრეთის ხელისუფალნი მაინც იძულებული გახდნენ სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ გაეგზავნათ გერმანიაში 15 ათასი კაცი.

ფინეთის სახელმწიფო ვალის ზრდა

სტამბოლი, 27 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის გაზეთ „ფრანკფურტერ ცაიტუნგს" მოჰყავს ცნობები, რომლებიც მოწმობენ ფინეთის სახელმწიფო ვალის კატასტროფულ ზრდას. შედარებით მოკლე პერიოდში—1939 წლის დამლევიდან 1940 წლის დამლევამდე — ფინეთის სახელმწიფო ვალმა 5 მილიარდიდან 17 მილიარდ 160 მილიონ ფინურ მარკამდე იმატა. იმ გარემოებამ, რომ ფინეთი სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაება, კიდევ უფრო გაადიდა მისი სახელმწიფო ვალი, რამაც 1941 წლის აგვისტოს დამლევისათვის უკვე 22 მილიარდ ფინურ მარკას მიაღწია. გაზეთი იუწყება, რომ ფინანსთა მინისტრ პეკალის განცხადებით, მიმდინარე წლის დამლევისათვის ფინეთის სახელმწიფო ვალი 27 მილიარდ ფინურ მარკას მიაღწევს.

ადმირალ კენინგჰემის განცხადება

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ინგლისის ხმელთაშუა ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალმა ადმირალმა კენინგჰემმა აღნიშნა, რომ სექტემბრის განმავლობაში ინგლისის წყალქვეშა ნავებმა და საზღვაო ავიაციამ ჩაძირეს ღერძის სახელმწიფოთა იმ გემების 30 პროცენტზე მეტი, რომლებიც იტალიის ნავსადგურებიდან გამოვიდნენ. ამრიგად, წინა თვეებთან შედარებით მტრის ზარალი ხმელთაშუა ზღვაში 10 პროცენტით გაიზარდა. კენინგჰემის აზრით, ღერძის სახელმწიფოთა ეს ზარალი განუწყვეტლივ იმატებს. ამავე დროს კენინგჰემმა აღნიშნა, რომ იტალიელებმა შესძლეს დაზიანებული ხომალდების შეკეთება და ახალი სამხედრო-საზღვაო ერთეულების გამოშვება. ამჟამად იტალიის ფლოტი შესდგება 4 ან 5 სახაზო გემისაგან, რვადუიმიანი ქვემეხებით შეიარაღებული 2 ან შესაძლოა 4 კრეისერისაგან, ექვსდუიმიანი ქვემეხებით შეიარაღებული დაახლოებით 14 კრეისერისაგან და მთელი რიგი საესკადრო ნაღმოსნებისაგან, რომელთა რაოდენობაც ზუსტად არ არის გამორკვეული. იტალიელებმა დაჰკარგეს თავისი წყალქვეშა ნავების დაახლოებით 33 პროცენტი.

კენინგჰემის მიერ მოყვანილი ციფრებიდან,—აღნიშნავს სააგენტო,—გამომდინარეობს, რომ იტალიის ფლოტი კვლავ რჩება „მრისხანე ძალად" ქაღალდზე და მას ხმელთაშუა ზღვის ვიწრო ცენტრალურ ბასეინშიც კი არ ძალუძს თავისი სავაჭრო გემების დაცვა.

დასასრულ ადმირალმა კენინგჰემმა ქებით მოიხსენია ჰოლანდიის წყალქვეშა ნავების, საბერძნეთის სესკადრო ნაღმოსნებისა და წყალქვეშა ნავების და იუგოსლავიის სატორპედო კატერების მოქმედება. ყველა ეს გემები ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის შემადგენლობაში შედიან.

იკესის განცხადება

ნიუ-იორკი. იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, მთავრობის კოორდინატორმა ნავთის საკითხებში, შინაგან საქმეთა მინისტრმა იკესმა განაცხადა, რომ ინგლისი ამერიკის შეერთებულ შტატებს უბრუნებს 40 ტანკერს. ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიის სანაპიროზე გაუქმებულია ბენზინის მოხმარების შეზღუდვა. იკესმა აღნიშნა, რომ 15 ტანკერს შეერთებული შტატები ინგლისისაგან ოქტომბერში უკანვე მიიღებს, დანარჩენ 25 ტანკერს კი ნოემბრის დამლევს. იკესის სიტყვით, ეს დროებითი ღონისძიებაა და შემდეგში ეს ტანკერები კვლავ გაუწევენ მომსახურებას ინგლისს.

ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური მისია კუბას ინახულებს

ნიუ-იორკი. იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, იმოწმებს რა ჰავანის გაზეთ „ადვანს", იტყობინება, რომ ახლო მომავალში კუბას ინახულებს ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური მისია იმისათვის, რომ შეისწავლოს კუნძულზე სამხედრო მრეწველობის, კერძოდ საავიაციო მრეწველობის მოწყობის შესაძლებლობა.

ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სარდლობის ცნობა

ლონდონი. ინგლისის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებულ ძალთა სარდლობა იუწყება, რომ 26 ოქტომბრის განმავლობაში ტობრუკის დაბომბვა უმნიშვნელო იყო. არავითარი მსხვერპლი ან დაზიანება არ ყოფილა. მტრის არტილერია უფრო აქტიურად მოქმედებდა. მას წინააღმდეგობას უწევდა ინგლისელთა ბატარეების გაძლიერებული ცეცხლი. ინგლისის ჯარების პატრულებმა განაახლეს თავისი ოპერაციები ყველა სექტორში. ისინი მტრის მხრივ წინააღმდეგობას არ შეხვდრიან და ხელთ იგდეს სრული ცნობები.

გერმანელი ჯაშუშის დაპატიმრება

ნიუ-იორკი. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მონტევიდეოდან (ურუგვაი) იტყობინება, კუნძულ ტრინიდადის ხელისუფლებამ ესპანეთის სავაჭრო გემზე, რომელიც ესპანეთიდან ბუენოს-აირესში მიდიოდა, დააპატიმრა გერმანელი ჰირში და მისი ოჯახი. კორესპონდენტის სიტყვით, თავის დროზე საფრანგეთის ხელისუფლებამ ჰირშს ჯაშუშობისათვის 14 წლით პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ ის გაათავისუფლეს გერმანიისა და საფრანგეთის შორის დროებითი ზავის დადების შემდეგ. როგორც იუნაიტედ პრესის კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იტყობინება, ჰირში მიდიოდა არგენტინაში, რათა შეეცვალა იქ გერმანიის ყოფილი პრეს-ატაშე ლანსილი, რომელიც სათავეში ედგა გესტაპოს ძირგამომთხრელ მუშაობას არგენტინაში.

რუმინული გაზეთები უნგრეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისაკენ მოუწოდებენ

სტამბოლი. ძირითადი რუმინული გაზეთები ამ ბოლო დროს სავსებით აშკარად მოუწოდებენ შეიარაღებული ბრძოლისაკენ უნგრეთის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ უკანვე შემოუერთონ რუმინეთს ტრანსილვანიის ის ნაწილი, რომელიც 1940 წელს უნგრეთის ხელში გადავიდა. ბევრი გაზეთი აცხადებს, რუმინეთმა ახლა თავისი დასავლეთი საზღვარი უნდა აღადგინოსო. გაზეთი „უნივერსული" სწერს, რომ რუმინეთი ანტონესკუსაგან მოელის რუმინეთის ყველა საზღვრის აღდგენის გეგმის განხორციელებას. გაზეთი „კურენტული" ანტონესკუს მოუწოდებს გაუძღვეს რუმინელებს დასავლეთისაკენ ტრანსილვანიელი ძმების განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. რუმინული პრესის ეს კამპანია საუკეთესოდ ახასიათებს ფაშისტური ღერძის მოკავშირეთა ურთიერთდამოკიდებულებას.

ანტიფაშისტების დევნა საფრანგეთში

ნიუ-იორკი. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვიშიდან იუწყება, იქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ სპეციალურმა ტრიბუნალმა პარიზში სამოცდამე პატიმრობა მიუსაჯა ორ ანტიფაშისტს. სამ ანტიფაშისტს მიუსაჯეს 15 წლით პატიმრობა, სამს—10 წლით, ერთს—8 წლით, ოთხს—6 წლით და ერთს ანტიფაშისტ ქალს 5 წლით პატიმრობა.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

მტრის ჯარებისათვის დარტყმა მოსკოვთან

(„კრასნაია ზვეზდის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ჩვენი ჯარის ნაწილებს აქტიური იერიშები მიჰქონდათ მალოიაროსლავეცის მიმართულების ორივე ფლანგზე. ყველაზე ცხარე ბრძოლა გაჩაღდა № რაიონში, სადაც მტერმა დიდ ძალებს მოუყარა თავი.

დილით, გაძლიერებული საარტილერიო მომზადების შემდეგ, მეთაურ სედიხის მებრძოლნი, ტანკების დახმარებით, შეტევაზე გადავიდნენ ფაშისტთა მიერ დაპყრობილ სოფელ გ-ზე. გერმანელებმა აქ მტკიცე თავდაცვა შექმნეს, რომელსაც ახლად შედგენილი მე-20 სატანკო დივიზიის ორი პოლკით იცავდნენ. მთელმა გუშინდელმა დღემ სისხლისმღვრელ შეტაკებებში ჩაიარა. სოფელი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში.

საღამოსათვის ბრძოლამ განსაკუთრებით გაფთრებული ხასიათი მიიღო. გერმანელ მეავტომატეთა რამდენიმე ჯგუფი ნაღმსატყორცნების საფარით შემოიჭრა სოფლის დასავლეთ გარეუბანში და გამაგრებული სროლა ასტეხა სახლების სხვენებიდან და ფანჯრებიდან. ჩვენი ქვეგანაყოფების მძაფრი იერიშით მეავტომატენი მთლიანად იქნენ მოსპობილნი.

ფრონტის მეზობელ უბანზე, გზატკეცილის მახლობლად, ამხ. გუსევის მებრძოლებმა განდევნეს გერმანელები სოფელ ო-დან. ნაშუადღევს გერმანელთა 290-ე ქვეითი პოლკის ქვეგანაყოფნი ოთხი ტანკით შეეცადნენ დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები. ეს კონტრიერიში მოგერიებულ იქნა, ამასთან მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. მტერმა მძლავრად დაუშინა სოფელს ქვემეხები და ნაღმსატყორცნები, სროლა აუტეხა აგრეთვე მიწაში ჩაფლული ხუთი ტანკიდან. ამხ. გუსევის ქვეგანაყოფნი დაკავებულ ზღუდეზე გამაგრდნენ.

დღეს ბრძოლა გზატკეცილის რაიონში ახალი ძალით განახლდა. ჩვენი ჯარის ნაწილები იერიშებს განაგრძობდნენ და დიდ ზარალს აყენებდნენ მტერს.

სასტიკი შეტაკებები ხდებოდა მარცხენა ფლანგზე. აქაც ინიციატივა ჩვენს ჯარებს ეკუთვნოდა. მეთაურ ნაუმოვის მებრძოლებს წარმატებით მიიტანეს იერიში მტერზე. ხ. პუნქტის მისადგომებზე გერმანელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს; ისინი თავს იცავდნენ არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით. ჩვენი მებრძოლნი უმაგალითო მამაცობით იბრძოდნენ. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ სრთმევდნენ მტერს თავიანთ მშობლიურ, სისხლით მორწყულ მიწას, ფაშისტები განდევნილ იქნენ დასახლებული პუნქტიდან, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მათ ახალი ძალები გამოიყვანეს, და კვლავ გაჩაღდა გაფთრებული ბრძოლა. დღის დამლევისათვის დასახლებულ პუნქტს მტკიცედ ინარჩუნებდნენ ჩვენი ქვეგანაყოფნი.

მარცხენა ფლანგზე გაჩაღებულ ბრძოლებში გუშინ ჩვენ ხელთ ვიგდეთ: გერმანელთა 3 ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი, 3 დაზგის და 6 ხელის ტყვიამფრქვევი, 2 რადიოსადგური, ავტომანქანა საომარი მასალითურთ და რამდენიმე ავტომატი. მტერმა დიდძალი ხალხი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

აქტიურად ვითარდება ჯარის ნაწილების მოქმედება ფრონტის სხვა უბნებშიც.

ქვეითს ჯარს დიდ დახმარებას უწევდნენ მასთან თანამოქმედი სატანკო ქვეგანაყოფნი, არტილერია და ავიაცია. მტერს წარმატებით ანადგურებენ საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ანტოშკინის ნაწილები.

დღეს დილით მფრინავმა, უმცროსმა ლეიტენანტმა პონომარიოვმა, საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ უკან დაბრუნებისას, ფრონტისპირა რაიონში მტრის აეროდრომი შეამჩნია. ფაშისტთა საზენიტო ქვემეხების ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, პონომარიოვმა ერთი კვეთებით გაუჩინა ცეცხლი მტრის 3 თვითმფრინავს. მალე მფრინავის მიერ ნაჩვენები მარშრუტით აეროდრომის დასაბომბავად გაფრინდნენ ჩვენი თვითმფრინავები.

ბრძოლა ორივე ფლანგზე გრძელდება. მტერი აქ ჩვენი ნაწილების სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდა. (გამოტოვებულია) ფაშისტები თავს უყრიან ახალ ძალებს. ისინი ბრძოლაში იყენებენ არა მარტო ოკუპირებულ ქვეყნებში ხელთ ჩაგდებულ ტექნიკას, არამედ თავიანთ დიდი ხნის მოძველებულ ტექნიკასაც. ჩვენ მიერ დაზიანებულ გერმანულ ტანკებს შორის იყო 1916 წლის გამოშვების რამდენიმე მანქანა.

გამხეცებული მტერი მოსკოვისაკენ მოიწევს. მას აშინებს ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლების პერსპექტივა, აშინებს რუსეთის სუსხიანი ზამთრის სიახლოვე.

მოსკოვის დამცველებო, მტკიცედ დაიცავით ზღუდეები, უფრო გაბედულად მიიტანეთ იერიშები მტერზე! შესაძლებლობას ნუ მისცემთ მოამზადოს ახალი დარტყმა. მოჰქანცეთ მტერი აქტიური კონტრიერიშებით! დაე, მოსკოვის მისადგომები ფაშისტების სამარედ გადაიქცეს.

უფროსი პოლიტხელი
ქ. ბუკოვსკი.
მალოიაროსლავეცის მიმართულება.

ლექცია

30 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო საგიტაციო პუნქტის სალექციო დარბაზში (ლადო კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) შესდგება ამხ. ფრიშენბერგის ლექცია რუსულ ენაზე: „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი".

ბილეთების მიღება შეიძლება საქალაქო საგიტაციო პუნქტში და რაიკომების საგიტაციო პუნქტებში.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1503905, გაცემული მიხეილ ოგანესის-ძე აკოფიანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ქიდაობა ცირკში

თბილისის ცირკის პროგრამას შეემატა ორი ახალი ნომერი: მანიპულატორი მიკოში და ჟონგლიორი ე. კტკინა. ორივე ნომერი საინტერესოა და მაყურებლის ყურადღებით სარგებლობს. კვლავ წარმატებით გამოდიან მხტუნავი აკრობატები ვავილოვა და ფეიერგატი, თოკზე მოსიარულეთა ჯგუფი სეირინის ხელმძღვანელობით, მოროზოვები (ჰაერში ფრენა), სატირიკოსები რაზუმსკი და სკალოვი, კომიკი რუჟანსკი.

22 ოქტომბრიდან ცირკში დაიწყო პროფესიონალ მოჭიდავეთა ფრანგული ჭიდაობის მატჩი. მატჩში მონაწილეობის მისაღებად უკვე ჩამოვიდა 19 კაცი. მათ შორის არიან ძველი მოჭიდავენი ყარა-მუსტაფა, შევჩენკო (წონა 108 კგ), იარკოვი (წონა 123 კგ) და სხვ. მოჭიდავეთა შორის ყურადღებას იპყრობენ ახალგაზრდები, გაწვრთნილი ფიზკულტურელი წრეებიდან. ასეთები არიან დენისოვი (თბილისი), სტრიჟაკი, ვოდრიანოვი, პლისულია (ერევანი), სამარინი და სხვ. ამ დღეებში ჩამოვა ოსმან აბდურახმანოვი, რომლის სიმაღლე უდრის 2 მეტრსა და 7 სანტიმეტრს, ხოლო წონა 150 კილოგრამს. ჭიდაობა დიდძალ ხალხს იზიდავს.

თეატრებში

საოპერა — 29 ოქტომბერს—„დაისი", 30 ოქტომბერს — „ტრუბადური", **რუსთაველის სახელობის** — 29 ოქტომბერს — „რღვევა", 30 ოქტომბერს — „კაკვიძე", 31 ოქტომბერს — „პროფესორი მამლოკი", 2 ნოემბერს **დღის წარმოდგენა** — „პროფესორი მამლოკი", **მარჯანიშვილის სახელობის** — 29 ოქტომბერს — „მკაცრი ქალიშვილები", 30 ოქტომბერს — „ცხვრის წყარო", 31 ოქტომბერს— „მკაცრი ქალიშვილები", 2 ნოემბერს **დღის წარმოდგენა** — „მკაცრი ქალიშვილები", **სანკულტურის ქართული თეატრი** — 30 ოქტომბერს— „გაგრძელება იქნება", 1 ნოემბერს — „ბრმა მუსიკოსი", 2 ნოემბერს—„გაგრძელება იქნება", **გრიბოედოვის სახელობის** — 29 ოქტომბერს—„ბაბუკი ჩვენი ქალაქიდან", 30 ოქტომბერს— „დედინაცვალი", **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 29 ოქტომბერს — „გაიდარი" (პრემიერა მე-29 აბ.), 30 ოქტომბერს — „გაიდარი" (მე-30 აბ.), 31 ოქტომბერს —„გაიდარი" (მე-31 აბ.).

თბილისის სახცირკში

29 ოქტომბერს—**დიდი წარმოდგენა** ახალი ნომრები. გარდა ამისა, გრძელდება **ფრანგული ჭიდაობის** მატჩები. ჭიდაობს სამი წყვილი: I-დენისოვი — ალი რუსტამოვი, II-ვოლსკი-პლიასულია, III-ყარა მუსტაფა-ჩუეისტოვი.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „მხიარული ახალგაზრდობა", **ოქტომბერი** — „ქაჯანა", **ლუქსემბურგის სახ.** — „მელორე", **სპარტაკი** — „ქაჯანა", **26 კომ. სახ.** — „საბრძოლო კინოკრებული № 4", **კომინტერნი** — „საბრძოლო კინოკრებული № 4", **მეცნიერება და ცოდნა** — „დუბროვსკი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
ა ც ხ ა დ ე ბ ს,

რომ 1941 წლის 19 ნოემბერს, დღის 3 საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) შესდგება საბჭოს სხდომა, რომელზედაც დისერტაციას დაიცავენ:

ექიმი **ლაზარე რომანოზ-ძე სტრაჟნიცკი** მედ. მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად—თემაზე: **„Санитарно-гигиеническая оценка методов контроля качества и состояния полуды аппаратуры для газированной воды".**

ოფიც. ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. გ. ნათაძე და პროფ. გ. ცქიშანაური.

მედ. მეცნ. კანდიდატი—ექიმი **გრამიტონ ყაფლანის-ძე აბათიანი**— მედ. მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად—თემაზე: **„ენდომეტრიუმის ასაკური ცვლილებები ფოლიკულარულ ჰორმონთან დაკავშირებით".**

ოფ. ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნ. დამსახ. მოღვ. პროფ. ნათიშვილი, პროფ. საყვარელიძე, პროფ. შალამბერიძე და პროფ. ლ. ელიაშვილი.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12).

დ ი რ ე ქ ც ი ა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი იუწყება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის
პოლიკარპე ფილიპეს-ძე დოლიძის
გარდაცვალებას. 12500

საქ. სსრ შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველო იუწყება
მარიამ ანდრიას-ასულ მიქაუტაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/X ქ. ქუთაისში. 12494

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა —3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა — 3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროსი — 3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების — 3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 41424